ეროვნული ბიბლიოთეკა


ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

10 მაისი, პარასკევი, 1991 წ.
№ 85 (10498) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## დაზარალებულთა დასახმარებლად

სპეციალურ ანგარიშზე სახსრები ჩარიცხეს, ან ნაღდი ფული შეიტანეს:

● **ფოთის** სპორტკომიტეტმა სამი ათასი მანეთი (დეპეშით გვაცნობა კომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ ზომერიკმა).

● **სომხეთის** ჭადრაკის ფედერაცია — ხუთი ათასი მანეთი (დეპეშით, ფედერაციის პრეზიდენტი როლის კალაშიანი).

● **თბილისის** განათლების სამმართველოს მ. კეკელიძის სახელობის კალათბურთის სპეციალიზებული სკოლა — 1400 მანეთი (თანამშრომელთა პირადი დანაზოგიდან).

● **თბილისის** სპორტკომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველო — 1700 მანეთი. გარდა ამისა, დაზარალებულებს შეუძინეს 5838 მანეთის 200 ცალი სპეცტანსაცმელი.




ეს ფოტოსურათი და ფეხბურთში მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატთან დაკავშირებული სხვა მასალები გუშინ მივიღეთ ფიფა-ს შტაბბინიდან „ლელოს" რედაქციის სახელზე გამოგზავნილი ამანათით.

სურათზე თქვენ ხედავთ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ სახელმწიფო მდივანს ჰენრი კისინჯერს, რომელიც თავის ქვეყანაში სათავეში უდგას ფეხბურთში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მომზადებისა და ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტს. 12 წელიწადზე მეტი იბრძოლა თავდაუზოგავად (ცხადია, ქვეყნის სხვა გამოჩენილი ადამიანების, მათ შორის პრეზიდენტის მხარდაჭერით) კისინჯერმა, რათა, ბოლოს და ბოლოს, მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ამერიკასაც „ეწვეოდა". ახლა ოცნება ასრულებულია და, ცხადია, ყოფილი თვალსაჩინო პოლიტიკოსი ჰენრი კისინჯერი ბედნიერია.

## ეს-ესაა შევიტყვეთ...

● **ფეხბურთში** გერმანიის ჩემპიონის მიუნხენის „ბავარიის" კაპიტანმა აუგენტალერმა მე-400 მატჩი ჩაატარა ბუნდესლიგაში.

● „**დიდ ჩოგბურთში**" დაბრუნებული ბიორნ ბორგი, როგორც იქნა, შეელია მისთვის ჩვეულ ხის ჩოგანს. ამიერიდან იგი თანამედროვე ჩოგნითა და ახალი მწვრთნელის — ადრიანო პანატას მეთვალყურეობით ივარჯიშებს.

**კევინ კიგანი** (რომელსაც კარგად იცნობს თბილისელი ფეხბურთის გულშემატკივარი), ლონდონთან ახლოს, ტრასაზე გააჩერეს და პირწმინდად გაძარცვეს, მანქანიდანაც ყველაფერი წაიღეს. ბოლოს, ყაჩაღები კეტბურთის ჯოხით გაუმასპინძლდნენ ცნობილ ფეხბურთელს და თავის არეში მსუბუქი ტრავმაც მიაყენეს.

## ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო

# ყველაფერი ხდება...

**მეოთხე ტური:** გაფრინდაშვილი — ჩიბურდანიძე 0,5:0,5, არახამია — გიორგაძე, 0:1, ეფიმოვი — კახიანი 1:0, სტურუა — იოსელიანი 1:0, ჯანჯღავა — გურგენიძის პარტია გადაიდო. ზაიჩიკ-გურიელის შეხვედრა არ გამართულა.

**ტურნირი** ისეთ ფაზაში შედის, როცა თითოეულ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ახლა დაკარგულ ქულებს შემდეგში ველარ აინაზღაურებ — შეჯიბრება ხომ არც ისე ხანგრძლივია.

მეოთხე ტურში გაიმართა მხოლოდ ხუთი პარტია. ზაიჩიკ — გურიელის შეხვედრა, როგორც მსაჯთა კოლეგიამ განგვიმარტა, არ შემდგარა დიდოსტატი ქალის ავადმყოფობის გამო. ამ საკითხზე მოგვიანებით იმსჯელებენ. ყველა დანარჩენი შეხვედრა მძაფრად მიმდინარეობდა. მართალია, გაფრინდაშვილ-ჩიბურდანიძის პარტია მალე დამთავრდა ყაიმით, მაგრამ მას საკმაოდ მდიდარი ქვეტექსტი ახლდა; ძველმა მეტოქეებმა, რომელთაც ერთმანეთთან ბევრჯერ უთამაშიათ და ზედმიწევნით იცნობენ ერთმანეთის სტილს, რთული ბრძოლა არჩიეს. წარმოიქმნა პოზიცია, სადაც მხოლოდ თითო ფიგურა იყო გაცვლილი. მოწინააღმდეგეებმა ამჯერად დაზავება არჩიეს.

დიდი ინტერესი გამოიწვია ჯანჯღავა-გურგენიძის შეხვედრამ. ერთი მხრივ, იმიტომ, რომ ჯანჯღავა ლიდერია, ისიც საყურადღებოა, რომ იგი დაბადებულიც არ იყო, როცა გურგენიძე მსოფლიოს უძლიერეს დიდოსტატებს ებრძოდა და საკმაოდ წარმატებითაც. რა თქმა უნდა, უკანასკნელ წლებში, იგი ძალზე იშვიათად მონაწილეობს ტურნირებში და ახლა უჭირს თეორიული დავა. ამიტომ გურგენიძე დასაწყისში თავისებურად თამაშობს (თუმცა, იგი ადრეც ასე იქცეოდა) — ცდილობს პოზიციას რაც შეიძლება უფრო ორიგინალური ხასიათი მისცეს. საკმაოდ მალე გაიცვალა ლაზიერები. ჯანჯღავას კუ შავების მხედარზე უფრო ძლიერი იყო. შექმნილ პოზიციაში ჯანჯღავას შეეძლო ორი შესაძლებელი გეგმიდან ერთ-ერთი აერჩია: ან აქტიურად ეთამაშა ლაზიერის ფრთაზე, სადაც ჩვეულებრივ პაიკებით გარღვევა მზადდება ხოლმე (გურგენიძემ ალკვეთა ეს შესაძლებლობა), ან ცენტრში დაეწყო ბრძოლა. ახალგაზრდა დიდოსტატი მცირე უპირატესობას ინარჩუნებდა, მაგრამ რაიმე რეალურს ვერ მიაღწია. გურგენიძე ფრთხილად და ზუსტად იცავდა თავს. პარტია გადაიდო ოთხი ეტლის ენდშპილში, სადაც ჯერ კიდევ ხანგრძლივი თამაშია მოსალოდნელი.

გიორგაძის ფიგურები (იგი შავებით თამაშობდა) „დაბარებულივით ჩამოდიოდნენ" ბრძოლის გადამწყვეტ უბანზე. არახამია შეუპოვრად იბრძოდა, მაგრამ, ძალა აღმართს ხნავსო, ნათქვამია.

იოსელიანი ჯერჯერობით ამ შეჯიბრებაში ყველა ქალზე უკეთ თამაშობს, თუმცა, ამჯერად დამარცხდა. შავებით სტურუასთან მან უარესი პოზიცია მიიღო, სტურუა ლაზიერის ფრთაზე გამსვლელი პაიკის თანდათანობით წინ წაწევას შეუდგა. იოსელიანმა მეტოქის განლაგების ზურგში ეტლი გადაისროლა, მაგრამ პარტიის ხსნა ძალზე ძნელი იყო. როცა გამსვლელი თეთრი პაიკის შეჩერება შეუძლებელი გახდა, დიდოსტატი ქალი დანებდა. ეს მისი პირველი დამარცხება იყო ამ შეჯიბრებაში.

ახლა კი ერთი გაუგებრობის შესახებ: კახიანმა უვნებელყო ეფიმოვის ხანგრძლივი იერიში, უპირატესობა მოიპოვა და, რა თქმა უნდა, თავისი პოზიციით კმაყოფილი იყო. ამ დროს მას უცნაური რამ შეემთხვა,— დაავიწყდა, რომ უკანასკნელი, მეორმოცე საკონტროლო სვლა ჰქონდა გასაკეთებელი (საკონტროლო სვლების რაოდენობა ამოწურული ეგონა!), იფიქრა და მოფიქრებისთვის განკუთვნილ დროს გადააცილა. რა თქმა უნდა, ახალგაზრდა დიდოსტატს და მის გულშემატკივრებს დიდად დასწყდათ გული, მაგრამ კანონი კანონია. ჩვენ სხვადასხვა დროს, თუნდაც უმაღლეს დონეზე, რამდენიმე ანალოგიური შემთხვევის მოწმენი ვყავით — საჭადრაკო დაფასთან ხომ ყველაფერი ხდება.

ამრიგად, 4 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება: სტურუა, ეფიმოვი — 3-3 ქულა, ჯანჯღავა — 2,5 (1), გიორგაძე — 2,5, ზაიჩიკი — 2 (1), იოსელიანი —2, გურგენიძე — 1,5 (1), გაფრინდაშვილი, ჩიბურდანიძე, არახამია — 1,5-1,5, კახიანი — 1, გურიელს ჯერჯერობით ქულა არ მოუპოვებია.

**ბივი ბამრეკელი**




**ქართულ** ჰიდაობაში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი, რომელიც ქუთაისში იყო დაგეგმილი 14-17 მაისს, ჩატარდება საგარეჯოში იმავე დღეებში. 14 მაისი გუნდების ჩასვლის დღეა.

**ქართული ჰიდაობის ფედერაცია.**

---

**სრულიად** საქართველოს ექსტრასენსთა ასოციაცია „ბიოლოგიური ველის" პრეზიდიუმი ასოციაციის წევრებსა და რესპუბლიკის ექსტრასენს-ბიომასაჟისტებს (ვისაც მუშაობის სულ მცირე ერთი წლის გამოცდილების სტაჟი გააჩნია) სთხოვს მიწისძვრის რეგიონებში ღონისძიების საკითხების განსახილველად შეიკრიბონ შაბათს, 11 მაისს, 11 საათზე, საზოგადოება „ცოდნის" დარბაზში (მერაბ კოსტავას, 39).

**ასოციაციის პრეზიდიუმი**

---

**მოსახლეობის** ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაციის სპეციალისტთა საბჭოს სხდომა გაიმართება დღეს, 10 მაისს, 16 საათზე, „ლელოს" რედაქციაში. საბჭოს წევრთა დასწრება სავალდებულოა.

**ასოციაციის პრეზიდიუმი**

# ქართული ცირკიდან შინდა ვიამაყოთ

**იხ.** ის იყო კალამი მოვიმარჯვე, თბილისის სახელმწიფო ცირკის სამხატვრო ხელმძღვანელ ნანა მელქაძესთან სასაუბროდ ვემზადებოდი, რომ მოულოდნელად ტელეფონმა დარეკა: ცირკის დირექტორი, ბატონი თემურ ჯაფარიძე ურეკავდა თანამშრომელს, სთხოვდა, კორესპონდენტი წამოიყვანე და ჩემს ოთახში ამოდით, სიურპრიზი გელოდებათო.

დირექტორის კაბინეტიდან უჩვეულო ჟრიამული გამოდიოდა. კი ვიფიქრე, ცირკში ვარ, აქ რა არის მეთქი გასაკვირი, მაგრამ კარებშივე ორ დათვის ბელს თუ შევეჩეხებოდი, ნამდვილად არ მეგონა: შეხვედრისთანავე ხომ ნანა მელქაძემ ეს შემომჩივლა — ცხოველები არა გვყავს, მხოლოდ ცხენების ამარა ვართო.

მაგრამ თემურ ჯაფარიძეს მეგობრებმა: ზიზი, ლევან და გელა ლობჯანიძეებმა რაჭიდან საჩუქრად ჩამოუყვანეს ორი დათუნია — ონის რაიონში, სოფელ ღებში, დაუჭერია ისინი იური ლობჯანიძეს. ეტყობა, მიწისძვრამ თუ შეიწირა „დიდი დათვი" — მათი დედა. ობლად დარჩენილი ბელები სოფლის სიახლოვეს, მინდორში, ჩამოსულიყვნენ და... თბილისში ამოყვეს თავი.

მთელი ცირკის დირექცია თავს დასტრიალებდა ორ „ახალბედას", უკმაყოფილონი რომ რაღაცას ბუღლუნებდნენ და კარისკენ იწევდნენ, მაგრამ ვინ გაუშვებდა გარეთ, ასე ნანატრ დათუნიებს...

— ახლა რაღა გვიჭირსო, — გახარებულმა ჩაილაპარაკა ნანა მელქაძემ, ქართული ეროვნული საცირკო დასის მწირ პროგრამას გავამდიდრებთ, ბავშვები უმთავრესად ცხოველების სანახავად მოდიან ცირკში.

ახლა კი დროებით დავივიწყოთ დათვის ბელები, რადგან ქალბატონ ნანას სხვა, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებიც აწუხებს, მით უმეტეს, ქართულმა ეროვნულმა დასმა ხომ ეს ესაა დაიწყო ხელახალი ცხოვრება, ყოველივე ახალშექმნილს კი პრობლემებიც თან ახლავს...

— თითქმის ყველა ყოფილი სპორტსმენი თავს არიდებს ჩვენთან თანამშრომლობას, — განაგრძობს ნანა მელქაძე, თავად ყოფილი ცხენოსანი, — 1957 წელს, პირველი საცირკო ქართული დასი რომ ჩამოყალიბდა, მისი თითქმის ყველა წევრი სპორტსმენი იყო, ახლა კი არ გვაკითხავს არავინ, მით უმეტეს, არაერთხელ ვთხოვეთ მათ პრესით თუ სხვა საინფორმაციო საშუალებებით. ძველი ქართული დასი სპორტსმენებით ამაყობდა — ნუგზარ მიქავა, ჰამლეტ და ვაჟა ნატროშვილები, ავთანდილ მიქია, ლექსო მჭედლიშვილი, გიორგი აღდგომელაშვილი, გურამ გარსევანიშვილი... დღესაც ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ ჩვენთვის აკრობატებს, ტანმოვარჯიშეებს, ბატუტზე მხტომელებს, მაგრამ ეტყობა, ოდენ თხოვნითა და უსაგნო პროპაგანდა-აგიტაციით ვერ მოიზიდავ სპორტსმენებს. მაგალითად, ადრე გვყავდა ბატუტისტები, მაგრამ საკავშირო ცირკების გაერთიანებიდან გა-

იხ. მე 2 გვ.



# ქართული ცირკითაც უნდა ვიამაყოთ

(დასასრული)

მოყოფისთანავე ჩამოგვცილდნენ. უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ამით მათ უცხოეთში მოგზაურობის საშუალება შეინარჩუნეს, ზოგმა კი სამუშაოსაც მიაგნო — თურქეთში, პოლონეთში...

● **სპორტსმენების დეფიციტი იმას ნიშნავს, რომ წარმოდგენებშიც ნაკლებად იქნება სპორტული ელემენტები...**

— პროგრამას სულ სხვა ელფერს შესძენდნენ ტანმოვარჯიშენი, აკრობატები, ბატუტისტები; მაგრამ სპორტი მაინც არის პროგრამაში — ცხენით ჯირითი, საჰაერო ტანვარჯიში, ბაგირზე გასვლა, ფიგურული სრიალი...

● **როგორ გგონიათ, რა გზით უნდა მოხერხდეს ამ პრობლემის გადაჭრა?**

— უპირველესად, ყველამ უნდა შევიგნოთ და დავიჯეროთ, რომ ჩვენს ქვეყანას მართლა სჭირდება ეროვნული საცირკო დასი, როგორც ეს ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოშია, და მასში, ბუნებრივია, სპორტსმენებიც უნდა მოღვაწეობდნენ. რა თქმა უნდა, ყოფილი, ან ნაკლებად პერსპექტიულნი, რომლებიც უმაღლეს ტიტულებს და რეკორდებს იქნებ ვერ შეეჭიდნენ, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვან საქმეს გააკეთებდნენ ჩვენთან მუშაობით.

● **ქალბატონო ნანა, ეროვნულ დასში, ალბათ, უპირველესად, ქართველი მსახიობები უნდა სჭარბობდნენ. ეს არის უმთავრესი, შემდეგ, ქართული სცენარი, ქართული კოსტიუმები, მუსიკა ქართული... დასში კი, მაპატიეთ და, არაქართველების სიჭარბე შეიმჩნევა. იქნებ პირველ რეპერტუარში არ არის დაკავებული ყველა ქართველი მსახიობი?**

— არა, ყველა, დასის უკლებლივ ყველა — ორმოცდაექვსივე წევრი დაკავებულია, მუშაობს წა-











რმოდგენაზე, ქართველთა სიმცირე კი მართლაც შეიმჩნევა. კადრები არ გვყოფნის, მალე, ალბათ, საშველიც გამოჩნდება — კერძოდ, ზემოთაც მოგახსენეთ და უნდა ვირწმუნოთ, რომ საქართველოს აუცილებლად ესაჭიროება ეროვნული დასი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ დაიშალა, მაგრამ ცირკის ახალი ხელმძღვანელობის მეცადინეობით აღდგა და დღესაც განაგრძობს სიცოცხლეს. დიდი იმედი გვაქვს რესპუბლიკის საცირკო-ქორეოგრაფიული სასწავლებლისა (დირექტორი — გივი სერგია), რომლის ხელმძღვანელობა პირველი სპექტაკლების მომზადებაშიც დაგვეხმარა — წარმოდგენაში მისი სასწავლებლის აღსაზრდელები მონაწილეობდნენ და, იმედია, მომავალში მათთან მჭიდრო კავშირში ქართული ცირკი ახალი ძალებით შეივსება.

● **ვიცით, რომ ცირკის საკავშირო გაერთიანებიდან თბილისის სახელმწიფო ცირკის გამოყოფის შემდეგ, მრავალმა ქართველმა არტისტმა დატოვა ზემოხსენებული გაერთიანება, ზოგმა კი სამშობლოში ყოფნას, უცხო ქვეყნის სამსახური ამჯობინა. თქვენ როგორ შეაფასებთ ამ ფაქტს?**

— დიდი ნაწილი, ვისაც ნამდვილად აღელვებდა ქართული საცირკო ხელოვნების ბედი, მისი აწმყო და მომავალი, არც დაფიქრებულა, ისე გამოეშურა სამშობლოში: ქართული ცირკის სამსახურში ყოფნა არჩიეს ავთანდილ ფერაძემ (ბატონი ავთანდილის დასის წევრმა რუსი ეროვნების გოგოებმაც საყვარელ პედაგოგთან მუშაობა ამჯობინეს და დღეს ისინი ქართული ცირკის მსახურები არიან), ანზორ ხოჯაშვილმა, ავთანდილ ჯამალაშვილმა, რამაზ ირემაშვილმა... ჩვენ სხვებსაც გავუგზავნეთ თხოვნა, დაბრუნებულიყვნენ და თავიანთი ნიჭი და ცოდნა შეელიათ ქართული ცირკისთვის, მაგრამ ამაოდ... დაე, ყველას საკუთარმა სინდისმა მოჰკითხოს...

● **ქართულ ცირკს, ვგონებ, არც ფინანსურად და მატერიალურად უნდა ულხინდეს...**

— მართალს ბრძანებთ, დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში არავის ულხინს, და ჩვენ რა გამონაკლისი ვიქნებით. ჯერ შემოსავლიდან კაპიკი არ გვრჩება, წარმოდგენებიდან მიღებულ თანხას, ისევ მის მომზადებას ვახმართ. გვსაყვედურობენ, ცხოველები არ გყავთო. ვთქვათ, და ჩამოვიყვანეთ ცხოველები, დავუშვათ, ვეფხვები. ერთს ხომ ვერ შევიძენთ, სულ მცირე, ატრაქციონისთვის 6 ვეფხვი გვჭირდება. დღეში ერთ ვეფხვს მინიმუმ 8 კილოგრამი ხორცი სჭირდება, ამას დაუმატეთ მის შესაძენად საჭირო თანხა. ამდენი სახსრები ჯერჯერობით არ გვაქვს. იმედია, საკუთარი ძალისხმევით და სხვისი ხელშეწყობით ეს პრობლემაც გადაიჭრება.

დიახ, დახმარება მართლაც ესაჭიროება თბილისის სახელმწიფო ცირკს, ფინანსურიც და მატერიალურიც; ჯერჯერობით კი ცირკის ხელმძღვანელები იქით უწევენ სხვებს დახმარებას. 5000 მანეთი 9 აპრილს მოწამლული გოგონის სამკურნალოდ გაიღეს, 1200 მანეთი ივანე მაჩაბლის საზოგადოების ფონდში ჩარიცხეს სამაჩაბლოდან ლტოლვილი ქართველების შესაწევნად, 3000 — ეროვნული თავდაცვის ფონდში, 1500 — ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტულ ასოციაციისთვის, 6000 — ოთარ თაქთაქიშვილის მუსიკალური კონკურსის ორგანიზატორებისთვის და ამდენივე — 6000 მანეთი ახლახან სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისთვის გაიღეს. მოკლედ, ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო, მაგრამ, ამჯერად, ქველმოქმედებს თავად სჭირდებათ დახმარება. იმედია, სხვადასხვა ორგანიზაციები, ფირმები და კოოპერატივები, ვისაც ქართული ცირკის მომავალი აწუხებს, არ დაიშურებენ თანხას მის ასაღორძინებლად.

რაც შეეხება დათვის ბელებს, ღების მკვიდრებმა მხოლოდ რამდენიმე საათით ისტუმრეს ცირკში პარასკევს ჩამოყვანილები, ვიღაც უკეთურმა შუაღამით გააქრო ცირკის შენობიდან და ოცნება, ცხოველების მონაწილეობით გაემრავალფეროვნებინათ ქართული ცირკის რეპერტუარი, სამუდამოდ გადაიდო.

**ლევან ჯავახიშვილი**

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

# სხვა რა შეგვიძლია

სამაჩაბლო. ასობით შეწირული თანამოძმე. ვერ გავანელეთ ტკივილი. ჯერაც ცრემლი გვდის თვალთაგან. რაღაც არ გვასვენებს. გვაფორიაქებს. ვალში ვართ ალბათ თითოეულ მათგანთან.

მეტი სითბო, ყურადღება დაღუპულთა ოჯახებს, ახლობლებს. ესეც დიდი ნუგეშია. ყველაზე მეტად კი, იმ დღეების სიმწარემ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებზე გადაიარა.

ბევრი დაგვაკლდა.

თუმცა, სიკვდილს უმალ თანადგომა და სიყვარული დავუპირისპირეთ. მატერიალური თუ ეკონომიკური. სხვა რა შეგვეძლო.

ახლახან, თბილისში, სპორტის სასახლეში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით ჩატარდა სამაჩაბლოში დაღუპულ მილიციის თანამშრომელთა ხსოვნისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო ტურნირი კარატეში ჭაბუკთა შორის.

მდუმარედ, თავდახრილი იდგა მთელი დარბაზი და პატივს მიაგებდა დაღუპულთა ხსოვნას.

გულშემატკივრები ბლომად იყვნენ. სხვადასხვა ორგანიზაციის თუ ასოციაციის წარმომადგენლები. თითოეულმა ფულადი თანხა გაიღო დაღუპულთა ოჯახების დასახმარებლად. კერძოდ: რესპუბლიკის მრეწვბანკმა 11 ათასი მანეთი (თანხა გადასცა ამ ბანკის გამგეობის წევრმა უ. ყურაშვილმა), „ივერთბანკმა" ოთხი — ათასმანეთიანი აქცია. (გადასცა ბანკის მმართველის მოადგილემ თ. ლობჟანიძემ), ასოციაცია „საქართველოს" სახელით ბ. ქორიძემ სამი — ათასმანეთიანი აქცია. ორი — ათასმანეთიანი აქცია ასოციაცია „იბერიის" ვიცე-პრეზიდენტმა ი. ტუკოვინმა, ქართული ეროვნული მილიციის აღორძინების საზოგადოება „აბჯრიდან" ათასათას მანეთიანი ორი აქცია (გადასცა ამ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა ნ. რამაზაშვილმა). ფინანსთა სამინისტროს სახელით 15 ათასი მანეთი გადასცა მინისტრმა გ. აბსანძემ.

სპორტის დეპარტამენტმა გამოყო 10 ათასი მანეთი. სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა რესპუბლიკურმა კომიტეტმა ათასი მანეთი. ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურმა კომიტეტმა ათასი მანეთი.

საერთო ოდენობით, ამ დღეს დაღუპულთა ოჯახების დასახმარებლად შემოსულმა თანხამ შეადგინა 80.420 მანეთი, აქედან 32,420 მანეთი გაყიდული ბილეთებიდან.

გაგაცნობთ ტურნირში გამარჯვებულებს და პრიზიორებს:

**45 კგ.** დავით შენგელაია, გოჩა ტალახაძე, გოჩა აიდოიანი და ალეკო შაიშმელაშვილი.

**50:** დავით კოტია, დიმიტრი ქურციკაშვილი, მიხეილ გაჩეჩილაძე და ოლეგ ცახოვი.

**55:** ბესო ვაშაკიძე, დემიკო მუხაშავრია, დიმიტრი დემჩენკო და ლაშა ! კაპანაძე.

**60:** გიორგი თვაური, ავთანდილ ჩანტლაძე, დავით თხინვალელი და გია კაციტაძე.

**65:** გია მეტრეველი, ვიტალი გუშიანი, შალვა ლეკიაშვილი და ლერი შიუკაევი.

**70:** რევაზ გარისაშვილი, გიორგი გვახარია, დავით ბლიაძე და გელა სამუკაშვილი.

**75:** ალექსანდრე ჯანგირაშვილი, ომარ ჩიქობავა, გელა მელიქიშვილი და კახაბერ თავგორაშვილი.

**75 კგ ზევით:** ლევან მაღლაკელიძე, ბესიკ კობიაშვილი, ვალიკო აბსანძე და ვალერი ვანდური.

**მაია მოსიძე**

# დროს არ კარგავენ...

**დღეს** სამბოს სამყაროში ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. კერძოდ, როგორც ვიუწყებოდით, ევროპის ქვეყნებმა გადაწყვიტეს ალტერნატიული ფედერაციის შექმნა და ამასთან, სულ მალე გაიმართება ევროპის ალტერნატიული ჩემპიონატიც. ვიდრე საკითხი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება, ქართველი მოჭიდავეები ასპარეზობენ სხვადასხვა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. ახლახან ჩვენმა სამბისტებმა მონაწილეობა მიიღეს ბელორუსიის თასის გათამაშებაში და ცხრა სხვადასხვა სინჯის მედალიც მოიპოვეს. პირველი ადგილები დაიკავეს საგარეჯოელმა გოჩა მეკოკიშვილმა (57 კგ) და არჩილ ბიძინაშვილმა (74); მეორე — ფოთელმა პაატა ლეკვეიშვილმა (48), დუშელმა გია ნაცვლიშვილმა (68) და თბილისელმა გურამ ქარჩაიძემ (82); მესამე — თბილისელმა ბექა ნარიმანაშვილმა (57), საგარეჯოელმა მამუკა კურდღელაშვილმა (62), კასპელმა ივანე გამხიტაშვილმა (90) და გორელმა არმაზ ჯალაბაძემ (100).

საქართველოს ნაკრების გარდა ბელორუსიის თასის გათამაშებაში მონაწილეობდნენ მოსკოვისა და უზბეკეთის ნაკრები გუნდები.

# რა ისმის უცხოეთიდან?

## კალათბურთი

გაიმართა ნბა-ს ჩემპიონატის მეოთხედფინალური სერიების მორიგი მატჩები.

### აღმოსავლეთის კონფერენცია

**„ჩიკაგო ბულსი" — „ფილადელფია-76" 2:0.**

უკვე გაიმართა ორი შეხვედრა. დაწინაურდნენ ჩიკაგოელი კალათბურთელები, რომლებმაც ორივე ბრძოლა დამაჯერებელი სხვაობით მოიგეს — 105:92 და 112:100. მომდევნო მატჩები გაიმართება 10, 12, 14, 17 და 19 მაისს, მაგრამ, ადვილი შესაძლებელია, აქ ორთაბრძოლა უფრო ადრე შეწყდეს.

**„დეტროიტ პისტონსი" — „ბოსტონ სელტიქსი" 1:0.**

ნბა-ს ახლანდელმა ჩემპიონმა „დეტროიტმა" გათამაშების პირველი ნახევარი შედარებით უფერულად ჩაატარა, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, იბრუნებს ჩვეულ ფორმას. ყოველ შემთხვევაში, მეოთხედფინალური სერიების პირველი შეხვედრა თავის ძველ მეტოქეს საკმაოდ დამაჯერებლად მოუგო — 86:75.

### დასავლეთის კონფერენცია

**„ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" — „გოლდენ სტეიტი" 1:1.**

„ლეიკერსი" პირველი წარმატების შემდეგ (126:116) შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა „გოლდენ სტეიტის" მხრიდან. ბრძოლის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა. ლოსანჯელესელი კალათბურთელები დამარცხდნენ — 124:125.

**„პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი" — „იუტა ჯაზი" 1:0.**

მეოთხედფინალური სერიის პირველი მატჩი „პორტლენდმა" ბრწყინვალედ ითამაშა და დიდი ანგარიშითაც მოიგო: 117:97, მაგრამ ეს მოხდა პორტლენდში. განმეორებით მატჩს „ბლეიზერსის" კალათბურთელები სტუმრად გამართავენ...

## ჰოკეი

**მთავრდება** პროფესიონალ ჰოკეისტთა ყველაზე პოპულარული ტურნირი-სტენლის თასის გათამაშება. მთავარი პრიზისთვის ბრძოლას შემორჩა ოთხი კოლექტივი — „პიტსბურგ პინგვინზი", „ბოსტონ ბრიუინზი", „ედმონტონ ოილერზი" და „მინესოტა ნორდ სტარზი". ნახევარფინალური შეხვედრები ამ ეტაპზე ერთობ დაძაბულად მიმდინარეობს.

„პიტსბურგისა" და „ბოსტონის" ორთაბრძოლაში ანგარიში იყო 1:1. მესამე შეხვედრა პიტსბურგელმა ჰოკეისტებმა მეტოქეზე აშკარად უკეთ ჩაატარეს და გაიმარჯვეს — 4:1. მიმომხილველები გამოარჩევენ მარიო ლემიეს და მას წარმატების სულისჩამდგმელად მიიჩნევენ. გუშინ მეტოქეები ისევ პიტსბურგში თამაშობდნენ.

მეორე ნახევარფინალური წყვილის („ედმონტონი" — „მინესოტა") შეხვედრაში ანგარიში ჯერჯერობით თანაბარია — 1:1.

შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალში გამარჯვებისთვის საკმარისია ოთხი შეხვედრის მოგება. თუ სერიებში გამარჯვებულნი წინასწარ არ გამოვლინდნენ, ფინალისტების ვინაობას შევიტყობთ 15 მაისს (ყველა შვიდი ორთაბრძოლის დამთავრების შემდეგ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

**„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „გორდა“ (რუსთავი) 3:3 (2:1).**

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 8 მაისი.

„კოლხეთი — 1913“: გვასალია, თიბილაშვილი, ქაჯაია, გიორგაძე, გიგატაძე. შამათავა, თოფურია, მახარაძე, გენძეხაძე (ტორჩინავა), თვარაძე, კაკაჩია (ბაჯალაძე).

„გორდა“: მეშკოვი (ქორიძე), ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, ქახრამანი (ლობჟანიძე), თორლაშვილი, ტ. კაპანაძე, კილასონია, ა. კაპანაძე, ფანცულაია, მეტრეველი (ბურნაძე).

მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), ო. გოგუა, დ. ხანაია (ორივე — სოხუმი).

გააფრთხილეს: ფირცხალავა, თვარაძე, თოფურია.

ფოთის სტადიონი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიის მიერ ერთი თამაშითაა დისკვალიფიცირებული, ამიტომ ფოთელებმა რუსთავის „გორდა“ ლანჩხუთში მიიღეს.

მატჩი ფოთელთა შეტევებით დაიწყო — პირველივე წუთზე გიორგაძის ძლიერად დარტყმული ბურთი რუსთაველთა კარის ძელს მოხვდა. „გორდამ“ თამაში კონტრშეტევებზე ააგო და უკვე მე-4 წუთზე ერთი ასეთი მანევრი ავთანდილ კაპანაძემ გოლით დაასრულა — 1:0. გაშვებული ბურთის შემდეგ „კოლხეთმა“ მტკიცედ იგდო ხელთ თამაშის სადავეები. ერთ-ერთი შეტევის დროს თოფურიას ჩაწოდებულ ბურთს მახარაძემ ზუსტად შეურჩია ადგილი და თავური დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. ფოთელებს არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ იერიშები, პირველ ნახევარში მახარაძემ კიდევ ერთხელ აიღო რუსთაველთა კარი — 2:1.

მეორე ნახევარში ფოთელებმა, ეტყობა, მოთავებულად ჩათვალეს საქმე და რუსთაველებმაც რამდენიმე მწვავე შეტევა განახორციელეს. 55-ე წუთზე ფოთელთა მცველებმა ხელით ითამაშეს საკუთარ საჯარიმო მოედანში. თერთმეტმეტრიანი ზუსტად გამოიყენა კილასონიამ — 2:2. „გორდა“ არ ღალატობდა არჩეულ ტაქტიკას. ერთ-ერთი იერიშის დროს ფანცულაიამ დააწინაურა კიდეც რუსთაველები — 3:2, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ „გორდას“ მცველმა ხელით ითამაშა და თვარაძემ უნაკლოდ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი — 3:3.

**ბელა გიორგაძე,**
**„ლელოს“ კორ.**

**„ქუთაისი“ (ქუთაისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 1:1 (0:1).**

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 8 მაისი.

„ქუთაისი“: თევზაძე, წიქარიშვილი, წიწკიძე, ბზიკაძე, შავგულიძე, ნადირაძე, შენგელია (დვალიშვილი), ხუნდაძე, ჯანაშია, დარახველია, ფაიქიძე (ქეიშვილი).

„ამირანი“: კოპალიანი, აბულედიანი, ძალამიძე, ჩხვირკია, შამუგია, შიროკი, აფენდოპულო, გომონოვი, გუჩუა (გეთია), გაბისონია, (ქობალია), პაპასკირი.

მსაჯები: თ. ლაცაბიძე, ვ. ეჯიბია, ლ. ჩიტაია (სამივე — თბილისი).

მეორე წელიწადია, „ქუთაისისა“ და „ამირანის“ შეხვედრებს თან სდევს კურიოზები. შარშანდელი ჩემპიონატის ბოლო ტურში ოჩამჩირელები დაგვიანებით გამოცხადდნენ ქუთაისში სათამაშოდ და წაგება ჩაეთვალათ. წლევანდელი პირველობის პირველსავე ტურში „ქუთაისმა“ შინ 2:0 დაამარცხა „ამირანი“, მაგრამ, იმის გამო, რომ მასპინძლებმა მატჩის მსვლელობისას გათამაშების დებულება დაარღვიეს, შედეგი გაუქმდა და ამ გუნდებს კიდევ ერთხელ მოუხდათ ერთმანეთთან შეხვედრა...

მე-4 წუთზე ქუთაისელებმა საჯარიმო გაითამაშეს, წიქარიშვილმა ძლიერად დაარტყა სტუმართა კარში, კოპალიანმა კუთხურზე მოიგერია ბურთი. იქვე სტუმრებმა საპასუხო შეტევა განახორციელეს და აფენდოპულო აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში. მაგრამ იჩქარა და უზუსტოდ დაარტყა, მე-12 წუთზე ოჩამჩირელთა კიდევ ერთი სწრაფი კონტრიერიში „ქუთაისის“ კარის აღებით დამთავრდა — პაპასკირმა 16–18 მეტრის მანძილიდან შეუჩერებლივ გაგზავნა ბურთი მეკარისაგან მარჯვენა დაბალ კუთხეში. მოვლენების ასეთ განვითარებას მასპინძლები ნამდვილად არ ელოდნენ. დიდი უპირატესობის მიუხედავად, მათ ვერა და ვერ ააწყვეს თამაში თავდასხმაში.

შესვენების შემდეგ თამაში „ცალკარობანას“ წააგავდა. ქუთაისელები ქაოსურად უტევდნენ, ოჩამჩირელები კი დინჯად იცავდნენ თავს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ სტუმრებს ბედიც სწყალობდათ: 79-ე წუთზე შამუგიამ ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა ნადირაძის მიერ დარტყმული ბურთი.

87-ე წუთზე ქუთაისელებმა შეძლეს ანგარიშის გაქვითვა. მათი ერთ-ერთი შეტევის დროს, ბურთი ხელზე მოხვდა ოჩამჩირელთა მცველს, მსაჯმა დანიშნა თერთმეტმეტრიანი, რომელიც უნაკლოდ შეასრულა ჯანაშიამ.

**იუზა კაციტაძე,**
**„ლელოს“ კორ.**



# ჭირვეულთა სამეული

**იცანით?** თუმცა როგორ არ იცნობდით! სამი გამოჩენილი ფეხბურთელი, სამი ამოუცნობი პიროვნება, სამი დიდი ჭირვეული — დიეგო მარადონა, იოჰან კრუიფი და ბერნდ შუსტერი — ცნობილ „ნოუ კამპის“ სტადიონზე არანაკლებ ცნობილ კლუბ „ბარსელონაში“ არიან გადაღებულნი 1983 წელს, როდესაც მარადონა და შუსტერი ამ გუნდში თამაშობდნენ, კრუიფი კი ამ კლუბის პრეზიდენტს ხოსე ლუის ნუნიესს სტუმრობდა. მაშინ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ეს „ტრიო“ 80-იან და მომდევნო წლებში ფეხბურთის სამყაროში არეულობას შეიტანდა.

ხელმძღვანელობასთან უთანხმოება პირველად დაიწყო კრუიფმა, ჯერ კიდევ 1978 წელს, როდესაც უარი თქვა გამოსულიყო ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონატზე. მას „მიჰბაძა“ შუსტერმა — 1980 წლის ევროპის ჩემპიონატის აღმოჩენამ, რომელმაც გფრ-ის ნაკრების შემადგენლობაში ოქროს მედალი მოიპოვა. შუსტერს უთანხმოება მოუვიდა ჯერ გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციასთან, შემდეგ კი ნაკრების მწვრთნელებთან: იუპ დერვალთან და ფრანც ბეკენბაუერთან, სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ შუსტერს არც ერთ მსოფლიო ჩემპიონატში არ მიუღია მონაწილეობა. საკვირველია, რომ შუსტერი ესპანეთში თამაშობდა „ბარსელონას“, „რეალის“ და მადრიდის „ატლეტიკოს“ შემადგენლობაში და არ უჭირდა საერთო ენის გამონახვა ისეთ ცნობილ და სრულიად განსხვავებულ მწვრთნელებთან, როგორებიც იყვნენ გერმანელი უდო ლატეკი, არგენტინელი ლუის მენოტი, ინგლისელი ტერი ვენეიბლსი და უელსელი ჯონ ტოშაკი.

მარადონამ კონფლიქტების „სერიალი“ დაიწყო „ბარსელონაში“ — ნუნიესთან სკანდალით, რომელიც გახმაურდა პრესაში და დამთავრდა სრული განხეთქილებით. დიეგო აღმოჩნდა „ნაპოლიში“, სადაც ხშირად ჰქონდა უთანხმოება გუნდის მეპატრონეებთან. სულ ახლახან მან საკუთარ, „მეამბოხის“ რეპუტაციასაც კი გადააჭარბა.

როგორც ცნობილია, ნარკოტიკების ხმარებისთვის მარადონა იტალიაში დისკვალიფიცირებულია 1992 წლის [illegible] ამავე [illegible] სასამართლოს წინაშე.

[illegible] კრუიფი [illegible] ლი აღმოჩნდა. შვიდი წლის განმავლობაში მისი ხელმძღვანელობით გუნდებმა ორჯერ მოიპოვეს (1987 წელს „აიაქსმა“ და 1989 წელს „ბარსელონამ“) ევროპის თასების მფლობელთა თასი. ახლაც გავიდა ამ ტურნირის ფინალში ესპანეთის „ბარსელონა“, რომელმაც ქვეყნის ჩემპიონობაც გაინაღდა. გამარჯვებათა ეს სერიები გასაკვირია იმდენად, რამდენადაც კრუიფს სამწვრთნელო კარიერის მანძილზე დაუსრულებელი კონფლიქტები აქვს „მის“ კლუბებში მოთამაშე „ვარსკვლავებთან“. მარკო ვან ბასტენი, რომელმაც 128 ბურთი გაიტანა 129 შეხვედრაში („აიაქსის“ შემადგენლობაში), კრუიფმა სულ რაღაც ორ მილიონ დოლარად დაუთმო „მილანს“, აქაოდა, ოღონდ წაიყვანეთო! ფრანკ რიიკარდი კი საერთოდ გარიცხა გუნდიდან! ამ სისტემითვე განაგრძო მუშაობა „ბარსელონაში“, პირველად სწორედ შუსტერი „იმსხვერპლა“, რომელიც კრუიფმა „რეალს“ „გადაულოცა“. მეორე წელს მან განაცხადა, რომ არ სჭირდება გარი ლინეკერი. მესამე წელს გუნდიდან გაუშვა ესპანეთის ნაკრების წევრები; მილა და რობერტო, თუმცა, ისინი კვლავაც ამ ნაკრების შემადგენლობაში არიან. დათხოვნების შემდეგ კრუიფმა „ბარსელონა“ გახადა ესპანეთის ჩემპიონი, ამ ტიტულს კი ეს გუნდი ბოლო 20 წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ ფლობდა — 1974 (როდესაც ამ კლუბში თვითონვე თამაშობდა) და 1985 წლებში.

**ზურაბ ტაბატაძე**

# UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

## უეფა-ს თასზე

**8 მაისს** იტალიის ქალაქ მილანში გაიმართა უეფა-ს თასის პირველი ფინალური მატჩი ამ ქვეყნის საფეხბურთო კლუბებს „ინტერსა“ (მილანი) და „რომას“ შორის. თამაშს 80 ათასი მაყურებელი დაესწრო.

შეხვედრის პირველი ნახევარი უშედეგოდ დამთავრდა. 55-ე წუთზე 11-მეტრიანით ანგარიში გახსნა მილანელმა ლოთარ მათეუსმა, ათიოდე წუთის შემდეგ ნიკოლა ბერტიმ მეორე ბურთი გაიტანა და თამაშიც „ინტერის“ გამარჯვებით დასრულდა — 2:0.

ამ გუნდების მეორე შეხვედრა 22 მაისს გაიმართება რომში. უეფა-ს თასის მფლობელი, როგორც ყოველთვის, გამოვლინდება ორ მატჩში საუკეთესო შედეგით.

# ტურნირები და შედეგები

**პუენტ-ა-პიტრი** (კუნძული გვადელუპა). ამერიკული სპორტული კლუბის „სანტა-მონიკას“ სპრინტერთა კვარტეტმა (კარლ ლუისი, მაიკ მარში, ლეროი ბარელი და მარკ უიზერსპუნი) ესტაფეტა 4X100 მ. 38,62 წამში გაირბინა. ეს შედეგი წლეულს ჯერჯერობით საუკეთესოა. მსოფლიო რეკორდი, რომელიც შარშან, 1 სექტემბერს საფრანგეთის ნაკრებმა დაამყარა სპლიტში (იუგოსლავია), 37,79 უდრის.

**დე-მოინი.** აიოვას შტატის (აშშ) ამ ქალაქში ამერიკელმა მაიკლ ჯონსონმა სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა 400 მ. რბენაში — 44,73.

**ჰიუსტონი.** ამერიკელ მძლეოსანთა საჩვენებელ გამოსვლაში სიგრძეზე ხტომა საკმაოდ მაღალი შედეგით (848 სმ) მოიგო ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონმა მძლეოსნობის ამ სახეობაში კარლ ლუისმა.

**ატნანგერი** (ავსტრია). მძლეოსნური შეჯიბრება ქალაქის ქუჩებში, რომლის ტრასა 1609 მეტრს შეადგენდა, ვაჟთა შორის გერმანელმა კლაუსპეტერ ნაჰბაინმა მოიგო (4.04,8) ქალებში — მისმა თანამემამულემ ვერა მიხალიკმა (4.46,1).

**ბერლინი.** ტრადიციულ შეჯიბრებაში ქალაქის ქუჩებში (დისტანცია 25 კილომეტრი) ვაჟთა შორის ყველას აჯობა ჩეხოსლოვაკიელმა მძლეოსანმა ივან უვიზლომ. მისი შედეგია 1:15.28. ქალებში უძლიერესი იყო გერმანელი კატრინ ულრიჰი — 1:26.48. ასპარეზობაში მონაწილეობდა 44 ქვეყნის 9 ათასამდე მძლეოსანი.

**გეიტსჰედი.** ინგლისის ამ ქალაქში გამართულ შეჯიბრებაში 1 მილზე რბენაში მსოფლიოს, ოლიმპიადისა და ევროპის ჩემპიონი (800 მ. დისტანციაზე), 25 წლის გერმანელი ზიგრუნ გრაუ-ვოდარსი მხოლოდ მეცხრე იყო — 4.55. გამარჯვება კი შეჯიბრების მასპინძელმა ენ უილიამსმა მოიპოვა — 4.37. ვაჟებში ამ დისტანციაზე უძლიერესი ასევე ინგლისელი პიტერ ელიოტი იყო — 4.02.

**ესენი.** საერთაშორისო 10-კილომეტრიანი გარბენი გერმანიის ამ ქალაქში კენიელმა ჯულიუს კორირმა მოიგო — 27.23,7.

# მკითხველი — გაზეთი

**ძვირფასო რედაქციავ! ბევრი რამ გვსმენია ფრანგ პროფესიონალ მოკრივეზე ჟორჟ კარპანტიეზე, მაგრამ ზუსტად არ ვიცით, იყო თუ არა იგი მსოფლიო ჩემპიონი. ამავე დროს, ამბობდნენ, კარპანტიეს ხშირად იღებდნენ კინოფილმებშიო. მართალია თუ არა ყველაფერი ეს? იქნებ შეგიძლიათ დეტალურად მოგვითხროთ მისი ცხოვრების შესახებ?**

**ვიქტორ თურმანიძე**

**თბილისი.**

სხვათა შორის, ანალოგიური წერილები სხვა პროფესიონალ მოკრივეებზეც მიგვიღია. რედაქცია შესაძლებლობის ფარგლებში ყოველ მათგანს გასცემს პასუხს. ახლა კი მოკლედ ჟორჟ კარპანტიეზე.

იგი დაიბადა საფრანგეთში 1894 წელს. ევროპის ჩემპიონი პირველად გახდა 17 წლისა. მაშინ იგი ქვესაშუალო წონაში გამოდიოდა. ერთი წლის შემდეგ კარპანტიემ კონტინენტის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა საშუალო წონაში. განსაკუთრებით იღბლიანი იყო მისთვის 1913 წელი — ორჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი — ერთხელ ქვემძიმე, მეორედ მძიმე წონაში. კრივის ისტორიაში ეს უნიკალური შემთხვევაა და სპორტსმენის მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს: სამი წლის განმავლობაში ევროპის ჩემპიონი იყო ოთხ წონაში.

1914 წელს მოკრივეთა ასოციაციამ თეთრკანიანთა მსოფლიო ჩემპიონატი მოაწყო. ეს პროფესიულ რინგზე ზანგ სპორტსმენთა აღზევების წინააღმდეგ მიმართული თავისებური დემარში იყო. საერთაშორისო ორგანიზაციები ერთობ განი-

# ადამიანი—ორქიდეა

ცდიდნენ იმ ფაქტს, რომ 1908 წელს მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა ზანგმა ჯეკ ჯონსონმა და აი, მოეწყო ალტერნატიული შეჯიბრება თეთრკანიან მოკრივეთა შორის ყველა წონაში. ჟორჟ კარპანტიემ პირველი ადგილი დაიკავა ქვემძიმე წონაში.

იმავე 1914 წლის 27 ივლისს პარიზში მსოფლიო ჩემპიონმა ჯეკ ჯონსონმა დაიცვა თავისი ტიტული ფრანკ მორანთან ორთაბრძოლაში. ამ საინტერესო, 20-რაუნდიანი შეხვედრის არბიტრი გახლდათ ჟორჟ კარპანტიე.

მის სპორტულ ბიოგრაფიაში განსაკუთრებით გამოირჩევა 20-იანი წლების დასაწყისი. 1920 წლის 12 ოქტომბერს კარპანტიე ქვემძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად შეხვდა ამერიკელ ბატლინგ ლევინსკის, რომელიც ორი წლით ადრე გახდა ჩემპიონი, ფრანგმა მოკრივემ მეოთხე რაუნდის დასაწყისში უძლიერესი დარტყმით ძირს დასცა მეტოქე და ჩემპიონის წოდება დაიმსახურა.

1921 წელს კარპანტიემ, რომელიც მცირე ხნით გადავიდა მძიმე წონაში, საჯაროდ გამოიწვია მაშინდელი აბსოლუტური ჩემპიონი, ლეგენდარული ჯეკ დემპსი. ეს ორთაბრძოლა მოეწყო 2 ივლისს აშშ-ის ქალაქ ჯერსიში. დემპსი — კარპანტიეს შეხვედრას ესწრებოდა 80 ათასი მაყურებელი, რაც იმ დროისთვის და შემდგომშიც სარეკორდო მაჩვენებლად ითვლებოდა. კარპანტიე არ იყო მძიმე წონის მოკრივე, ამიტომ თავის მეტოქეს იგი, პირველ ყოვლისა, ფიზიკურად ჩამორჩებოდა. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ შეხვედრა დემპსიმ მეოთხე რაუნდში მოიგო ნოკაუტით.

ერთი წლის შემდეგ კარპანტიემ ინგლისელ ტედ კიდ ლუისთან ორთაბრძოლაში დაიცვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ქვემძიმე წონაში. მეტოქე პირველსავე რაუნდში გაგზავნა ნოკაუტში.

კარპანტიეს სპორტული ბიოგრაფია დასრულდა 1922 წლის 24 სექტემბერს. ამ დღეს მან ქვემძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი სენეგალელ ბატლინგ სიკის გადააბარა. მეექვსე რაუნდის მიწურულს 28 წლის ჩემპიონი ნოკაუტში აღმოჩნდა.

სპორტულ სამყაროში კარპანტიეს ელეგანტურ მოკრივედ იცნობდნენ. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა თავის გარეგნულ იერს და ორი მეტსახელიც შეარქვეს — „სურნელოვანი ჟორჟი“ და „ადამიანი ორქიდეა“. სხვათა შორის, მას ხშირად იწვევდნენ გადასაღებად კინოში, თუმცა არც ერთ ფილმში მთავარი როლი არ შეუთავაზებიათ. სამაგიეროდ, კარპანტიეს დიდი მეგობრობა აკავშირებდა 20-იანი წლების კინემატოგრაფისტებთან. იგი შინაური კაცი იყო ჰოლივუდშიც.



ჟორჟ კარპანტიე ამერიკელ კინომოღვაწეთა შორის ჰოლივუდში. მარცხნიდან — ჯეკ ოდოლფი, დეროლ ზანუკი, ელის უაიტი და ჟორჟ კარპანტიე.

# რამდენიმე დღით ადრე

ეს საკმაოდ ორიგინალური ფოტომონტაჟი და ტექსტი ფრანგულ გაზეთ „ლიბერასიონიდანაა" ამოღებული. თანამედროვეობის ორი შესანიშნავი მოკრივის ევანდერ ჰოლიფილდისა და ჯორჯ ფორმენის „საუკუნის მატჩის" დაწყებას სულ რამდენიმე დღე აკლია და ამიტომ არავინ იცის რიგიანად ვის დარჩება გამარჯვება. ბუკმეკერები გარკვეულ უპირატესობას, ცხადია, მსოფლიო ჩემპიონს (ჰოლიფილდს) ანიჭებენ, თუმცა სულ ბოლომდე ჯვარი არც ფორმენზე აქვთ დასმული. თუ მსოფლიოს ჩემპიონი გაიმარჯვებს — ფოტოსურათი აქვეა, თუ ბედი ფორმენს გაუღიმებს გაზეთის შეტრიალება იქნება საჭირო მხოლოდ.

ახლა კი მოვუსმინოთ „ლიბერასიონის" კორესპონდენტის ამაღლებულ ტონს:

„ევანდერ ჰოლიფილდი და ჯორჯ ფორმენი. ორი ჩემპიონი, პლანეტის ორი უდიდესი ადამიანი, ორივე შავკანიანი, ორივე ამერიკელი და ორივე მოკრივე. აი მონაცემები, რომლებიც აერთიანებს ერთმანეთის პირისპირ მდგომ ამ ორ პიროვნებას. ახლა განსხვავებაზეც: ურთ-ერთი მათგანია ჰოლიფილდი, ახალგაზრდა, დაუმარცხებელი, რომელიც ამჟამად იდეალურ სპორტულ ფორმაშია, თავის მეტოქეზე 20 კილოგრამით უფრო მსუბუქი და 13 წლით უფრო ახალგაზრდა. მეორე ფორმენი გახლავთ, ადამიანი — ლეგენდა თავის წარსულითა და ხელმეორე დაბადებით, 42 წლის რკინის კაცი, რომელსაც კიდევ შესწევს უნარი აალაპარაკოს სამყარო".

მატჩის წინ მოკრივეები ზედმეტად მშვიდად არიან. პრესასთან ურთიერთობას მათი წარმომადგენლები ამყარებენ.

ჰოლიფილდის ბანაკში, კრივის სპეციალისტებთან ერთად, რამდენიმე საკმაოდ ორიგინალური პიროვნებაა. ერთი მათგანი კულტურისტია, ერთი — ფსიქოლოგი, არის აგრეთვე დიეტოლოგი და ქორეოგრაფი... მათი აზრით ჰოლიფილდი არა მარტო მოკრივეა, არამედ ჭეშმარიტი სპორტსმენი, ვინაიდან შესანიშნავად თამაშობს ამერიკულ ფეხბურთს, კალათბურთს, კარგად ცურავს და დარბის. ერთ-ერთი ვარჯიშის დროს ჰოლიფილდმა სარბენ ბილიკზე თვით კარლ ლუისსაც გაუსწრო თურმე. ევანდერი, ამ სპეციალისტთა აზრით, „მომავლის მოკრივეა, ფორმენი კი წარსულის. 42 წლის მოკრივე უმჯობესია ტყეში შეშის საჩეხად დადიოდეს. აბა წარმოიდგინეთ რომელიმე ბავშვი თუ იტყვის მინდა ფორმენი გავხდეო. დღევანდელი თაობის ოცნება ჰოლიფილდობაა".

ფორმენის ბანაკს დარაჯობს მასზე არანაკლებ, თუ მეტი არა, ლეგენდარული არჩი მური, რომელმაც პროფესიული მოკრივის კარიერა დაიწყო 1936 წელს, ჩაატარა 200 შეხვედრა და კრივს თავი მიანება 22 წლის შემდეგ, 1958 წელს, 45 წლის ასაკში. არჩი მური ამბობს: „ჯორჯი ნამდვილი მოკრივეა. არც ჰოლიფილდია ცუდი ბიჭი, მაგრამ იგი უფრო კულტურისტსა ჰგავს, ვიდრე ნაღდ მოკრივეს. მან არ იცის რა არის გაჭირვება, მძიმე ცხოვრება. ჰოლიფილდი უსათუოდ დაკარგავს ჩემპიონობას, თანაც ორ რაუნდში".

ფორმენს კუდში დასდევს მისი გუნდის კიდევ ერთი წარმომადგენელი ანჟელო დანდი. იგი მოჰამედ ალი-ფორმენის ბრძოლის დროს კინშასაში (1974 წელი) დანდი ალის სეკუნდანტი ყოფილა. ფორმენს იმ წლებში ხშირად უთქვამს: კინშასაში მე ალიმ კი არა, ანჟელომ მომიგოო. რა თქმა უნდა, ფორმენს ურჩევნია ასეთი კაცი გვერდით ჰყავდეს.

მატჩის წინა დღეებში ჰოლიფილდი ცოტას ტრაბახობდა: „მე ვიცი, რომ უფრო ძლიერი ვარ, ყველაზე ძლიერი, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს მანამ, სანამ არ დავამტკიცებ ჩემს სიმართლეს". ჟურნალისტებმა იმ დღეებში ჰოლიფილდის ერთი საიდუმლოება გასცეს: იგი გაეყარა მეუღლე პოლეტს, რომელთანაც ოთხი შვილი ჰყავს. გარდა ამისა, გაკოტრდა მანქანებით მოვაჭრე მისი ფირმა. ასე რომ, ევანდერს მილიონებისთვის ბრძოლის სტიმული უთუოდ აქვსო... ასკვნის „ლიბერასიონი".

პუბლიკაცია მოამზადა
**დათო ისლამოვმა.**



## ევგენია დუმბაძე—კამსკის მენეჯერი

ამერიკელი ბიზნესმენი ევგენია დუმბაძე გატა კამსკის მენეჯერი გახდა. ყველა, ვისაც ახალგაზრდა დიდოსტატთან შეხვედრა სურს, პირველ ყოვლისა, დუმბაძეს უნდა მოელაპარაკოს.

— ჩვენ ხელი მოვაწერეთ კონტრაქტს — განაცხადა მან — და ამიერიდან ჩემი ნებართვის გარეშე კამსკებს (მამა-შვილს) არა აქვთ ჟურნალისტებთან საუბრის უფლება.

ევგენია დუმბაძე აქტიურად ერევა გატა კამსკის ცხოვრებაში. მას ძალზე არ მოსწონს ის, რომ ჭაბუკს უსიამოვნება მოუვიდა ცნობილ ამერიკელ დიდოსტატ იასერ სეირავანთან და მას ხელს არც კი ართმევს. ეს მაშინ, როცა სეირავანი პოპულარული მოჭადრაკეა და საერთო პატივისცემით სარგებლობს. დუმბაძის აზრით, სეირავანი ძალიან ეხმარებოდა გატას ყველა საქმეში და თანაგრძნობით ეპყრობოდა მას.

რას აბრალებს კამსკი სეირავანს? — თითქოს იგი საიდუმლოდ მოელაპარაკა კასპაროვს, რომელიც გულზე არ ეხატება ჭაბუკ დიდოსტატს. მას ჰგონია, რომ კასპაროვი ათასგვარ ინტრიგებს ხლართავს, რათა გატამ მსოფლიო პირველობისთვის არ იბრძოლოს.

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა კრივში 1975-76 წლებში დაბადებულთათვის. **44 კგ:** 1. ა. ოჰანესიანი, 2. შ. ფალიანი (მესტია), 3. პ. ჩაფიძე (ტყიბული), გ. მინდელი (ვანი); **46:** 1. ლ. შამათავა (ფოთი), 2. ო. სარიდი (თბილისი), 3. ბ. კილაძე, ზ. ბაბუხადია (ორივე ქუთაისი); **48:** 1. პ. სარსანია (ფოთი), 2. ვ. ფალიანი (მესტია), 3. გ. ჰიკაიძე (თბილისი), მ. ჰოველიძე (რუსთავი); **50:** 1. ზ. ხურცილავა, 2. ზ. გამზარდია, 3. ი. ქობულია (სამივე ფოთი); **52:** 1. მ. ქურდაძე (ქუთაისი), 2. ა. ქათამაძე (თბილისი), 3. დ. ფალიანი (მესტია), შ. მელაძე (ფოთი); **54:** 1. ვ. ანკოსი, 2. ა. სოლოვიოვი (ორივე თბილისი), 3. ბ. ჯობავა (ფოთი). ფ. მახარეიშვილი (ვანი); **57:** 1. გ. პოდსტანიცკი (თბილისი), 2. ი. ლომაია (ფოთი), 3. თ. სმოიანი (თბილისი), მ. ხმელიძე (ქუთაისი); **60:** 1. დ. ქურდიანი (მესტია), 2. ა. კლიუშნიჩენკო (თბილისი), 3. კ. მამლიკიძე, ა. სტეფანიანი (ორივე ბორჯომი); **63:** 1. კ. ლომაია (ფოთი), 2. ვ. გოგია (სოხუმი), 3. რ. აბაჯიანი (თბილისი), გ. ბურდული (ტყიბული); **66:** 1. დ. პირველაშვილი (ტყიბული), 2. თ. ალანია (ფოთი), 3. ა. ხარებავა (სოხუმი), ა. კენკებაშვილი (რუსთავი); **70:** 1. გ. მაღრაძე (ბორჯომი), 2. ბ. ტემნოვი, 3. მ. ასოიანი (ორივე თბილისი); **74 კგ-ში** მონაწილე არ ყოფილა, **79:** 1. კ. კუპრაძე (ფოთი), 2. ზ. სონიშვილი (თბილისი); **85:** 1. ფხაკაძე (ქუთაისი), 2. ე. არშაკიანი (თბილისი).

ასპარეზობა გაიმართა ფოთის მოზარდთა კომპლექსური სპორტსკოლის სარბიელზე. მონაწილეობდნენ: თბილისის, ქუთაისის რუსთავის, აფხაზეთის, ბორჯომის, ვანის, ტყიბულის, მესტიისა და ფოთის წარმომადგენლები.

რედაქტორი
**თემურ ბაჩელიძე**

**სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი „მორკინალი"**

**გთავაზობთ**

**ბიომექანიკური სტიმულაციით ფიზიკური მომზადების სრულყოფას და სხეულის გაჯანსაღებას**

სპეციალურ ტრენაჟორზე მარტივი ფიზიკური ვარჯიშების შესრულებით:

— ძლიერდება სისხლის მიმოქცევა. უმჯობესდება ნივთიერებათა ცვლა;

— ჩქარდება ტრამვირებულ ორგანოთა ფუნქციების აღდგენა;

— კუნთები ხდება ელასტიკური და ძლიერი, რის შემდეგ, ფიზიკური დატვირთვისას მათი ამტანიანობა იზრდება;

— ჩქარდება ქვედა კიდურების გაჭიმვა, ძლიერდება სხეულის მოქნილობა;

— ხელს უწყობს ზედმეტი წონის დაკლებას, სტიმულაციის შემდეგ შეიმჩნევა სასიცოცხლო ტონუსის ამაღლება;

— ახდენს სხეულის მოყვანილობის კორექციას.

**მისამართი: თბილისი, კონსტიტუციის მოედანი, 1.** (სპორტის სასახლის გვერდით).

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტლოტოს" 1991 წლის მე-17 ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1.504.166 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. ამ ჯგუფისთვის განკუთვნილი მოსაგები ფონდი — 11.281 მანეთი დაემატება მე-18 ტირაჟის პირველი ჯგუფის მოსაგებ ფონდს, რომელიც გაიზარდა 86.798 მანეთამდე. 5 ნომრის გამოცნობისთვის (29) მოგება 3.540 მანეთია, ოთხისთვის (1.927) — 136.

საქართველოში: დაშვებულია 8.756 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—13.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** ტირაჟში დაშვებულია 18.958.831 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (45) მოგება 12.641 მანეთია, ოთხისთვის (8.497) — 122, სამისთვის (247.506) — 5. საქართველოში: დაშვებულია 148.068 ვარიანტი. 5—0, 4—85, 3—1.882.

**„სპორტპროგნოზი", მე-20 ტირაჟის პროგრამა (18-19 მაისი).**

| | | პროგნოზი | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **სსრკ ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | | |
| 1. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 18.V | 70 | 20 | 10 | 2 |
| 2. „შახტიორი" (დონეცკი) — „დინამო" (მინსკი) | 18.V | 70 | 20 | 10 | X |
| 3. „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „მეტალისტი" (ხარკოვი) | 18.V | 40 | 50 | 10 | 1 |
| 4. „დინამო" (მოსკოვი) — „არარატი" (ერევანი) | 18.V | 50 | 30 | 20 | X |
| 5. „დინამო" (კიევი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) | 18.V | 50 | 40 | 10 | 1 |
| 6. „პამირი" (დუშანბე) — ცსკა | 18.V | 10 | 30 | 60 | 1 |
| 7. „პახთაქორი" (ტაშკენტი) — „სპარტაკი" (ვლადიკავკაზი) | 18.V | 70 | 20 | 10 | 2 |
| **სსრკ ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | | |
| 8. „ტილიგული" (ტირასპოლი) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) | 18.V | 70 | 20 | 10 | 1 |
| **იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | | |
| 9. „ინტერი" (მილანი) — „ლაციო" (რომი) | 19.V | 60 | 30 | 10 | X |
| 10. „რომა" (რომი) — „ნაპოლი" (ნეაპოლი) | 19.V | 30 | 40 | 30 | 1 |
| 11. „ფიორენტინა" (ფლორენცია) — „ტორინო" (ტურინი) | 19.V | 60 | 30 | 10 | 1 |
| **ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | | |
| 12. „სპორტინგი" (ხიხონი) — „ოვიედო" (ოვიედო) | 19.V | 50 | 40 | 10 | 1 |
| 13. „ატლეტიკო" (ბილბაო) — „ესპანიოლი" (ბარსელონა) | 19.V | 40 | 30 | 30 | X |

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. ჯავახიშვილი, კორექტორები: ც. ჩიტიშვილი და ე. ზომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ვ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55
ხამდივანი — 98-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54
„მერანი" — 98-97-26, „მართვე" — 98-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. 380096, თბილისი, ვ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხაზარიულის, 29.
რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20